№ 6. თბილისი. 1942 წ. თებერვალი. გამოცემის წელი XIX. გამომცემლობა „კომუნისტი“. ფასი 50 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიანგი

ნახ. ს. ნადარეიშვილისა

მიმართულება

...„სსრ კავშირის ხალხთა ოჯახი... თავდადებით ეხმარება თავის წითელ არმიას, თავის წითელ ფლოტს. საბჭოთა ზურგი არასოდეს არა ყოფილა ისე მტკიცე, როგორც ახლაა“.

(ი. სტალინი)

— ამხანაგო, როგორაა ზურგის საქმე? რა მიმართულებით მუშაობს ახლა თქვენი წარმოება?

— იმ მიმართულებით, რომ უზრუნველვყოთ თქვენი შემდგომი გმირული შეტევები ფაშიზმის წინააღმდეგ. თქვენ?

— ჩვენი მიმართულება კი ერთად ერთია, — დასავლეთისაკენ, რათა შეუჩერებლივ ვდევნოთ მტერი — მის სრულ განადგურებამდე.

ოდა წითელ არმიას

ბრძოლებში დაბადებულო, პირმშოვ დევგმირი ხალხისა,
ვაჟკაცო ნალეს მახვილით მტრისთვის ჩამცმელო თალხისა,
მშობელი ქვეყნის დიდების დამცველო მედგარ მკლავითა,—
ვამაყობთ შენი ზეიმით — გამარჯვებების ხვავითა.
ჩვენო დღეის დღის იმედო, იმედო ჩვენი ხვალისა,
ვით არ გიმღეროს შანგები — გულმა ქცეულმა ხალისად? —
ვით არ გაშალოს ხიამით დიდ მატიანის კრებული,
მისი უჭკნობი ფურცლები — მაგ ხელით დამშვენებული,
სადაც სამშობლოს სიმტკიცე ოქროს თარიღად ანთია
უტეხ ფოლადით გჭედავდა ლენინ-სტალინის პარტია,
და ქვეყნის მტრებთან ჭიდილიც მისებრივ გაგიმართია,
შაგ რეაქციის ყორნები გიმუსრავს, გაგიფანტია:
იმ ბუზმენტიან გენერლებს, იმ მომხდურ ინტერვენტებსა,
მაგ ხელით ბურდღაგაცლილებს, მაგ ხელით განაპენტებსა,
ვინ დაივიწყებს ნეტავი, მათთვის მოურჩენ წყლულითა,
ან ისე ვინ გაიხსენებს, რომ არ იცინოს გულითა?
პამპაულ ფარშავანგებსა — მოსულებს ფახი-ფუხითა
თოფჯინჯილიან მტაცებლებს — გულში ზრახვებით რუხითა
ახხოვთ (ვინც კიდევ გადარჩა) და შერცხვენილის პირითა
ლუღლუღებს როგორ გაფრინდა, შენგან ნანაყი ცხვირითა.

მაგრამ ეტყობა, დუშმანმა ამ გაკვეთილთა მნახველმა,
ჭკუა ვერაფრით ისწავლა და ჩვენზე ავის მზრახველმა —
ჩვენი დიადი ოჯახის ალაყაფს დაჰკრა დინგია,
და „არიული“ ღრუტუნით ნავარდს ლამობდა იგია.
ავაზაკურად შემოჭრილს, იმედი ჰქონდა დარისა,
დაპატრონება ეწადა ჩვენი სახლის და კარისა,
მაგრამ მას ბედმა უმტყუნა მსგავსად იმ სახედარისა,
მოგებაზე რომ წავიდა, და იქ დასტოვა თავიცა.
იმდენი მამა უცხონდა, რაც ჰიტლერს ზრახვა აუხდა,
შენი ვაჟკაცურ დარტყმისგან მას დიდი მადა წაუხდა,
ელვისებური ომის მდომს — საქმე იმგვარად გაუხდა,
რომ ჩვენში ელვაც და მეხიც ორივე ერთად დაუხვდა.
ეს იყო შენი სიმტკიცე — ჩვენი დუშმანის მძლეველი,
ეს არის საბჭოთა ხალხის სურვილი შეურყეველი,
რომ მხარში გიდგეს ყოველთვის ზურგშიც და ბრძოლის ველზედაც,
რომ გაიმარჯვოს გმირულად ავაზაკ თავდამსხმელზედა,
და ერთად ნალეს მახვილით იყოს დუშმანთა მზარავი
არ მისცეს გასათელავად დიდი სამშობლო არავის.

ოცდაოთხი წლის ვაჟკაცო, შვილო დევგმირი ხალხისა,
მამაცო, ფოლადის მკლავით მტრისთვის ჩამცმელო თალხისა,
შენი დიდების სიხარულს, მზიან სიმღერას ვადარებთ,
და დიდ სტალინის დროშის შუქს ჩვენც შენთან გულში ვატარებთ.

ომახი მედგარიძე

უჩვენე

სამ დღეღამის განმავლობაში გმირულად იბრძოდნენ № ნაწილის წითელარმიელები, რომ მტრის გარემოცვა გაერღვიათ და თავიანთ დივიზიას შეერთებოდნენ. მტერი მაინც სარგებლობდა რა ძალთა შემთხვევითი უპირატესობით, წინ მიიწევდა და № ნაწილი თანდათან მტრის ზურგის სიღრმეში ექცეოდა.

— აქაც ბევრი საქმე გვაქვს გასაკეთებელი. მე აქაური ვარ და ყველაფერს კარგად ვიცნობ. შევუერთდეთ პარტიზანებს და კიდევ უფრო მეტ ზიანს მივაყენებთ მტერს! — განუცხადა წითელარმიელებს ნაწილის უფროსმა ანდრო ვაგანიძემ.

არმიის ზურგში მოქცეულმა ნაწილმა მართლაც უდიდესი ზიანი მიაყენა მტერს. დღე ისე არ გადიოდა, რომ ანდროს რაზმელებს ან ხიდი არ აეფეთქე-

ბინათ, ან ტანკები არ გაენადგურებინათ, ან მტრის სატვირთო მანქანები არ ჩაეგდოთ ხელში. მტრის ცოცხალ ძალებს ხომ მუსრს ავლებდნენ.

— ჩვენს სოფელში ფაშისტების შტაბია დაბანაკებული, — უთხრა ანდროს გერმანელების მიერ დაკავებულ სოფლიდან მოსულმა კომკავშირელმა სერგომ.

— ჩვენი საქმეა! მდიდარ მასალას ვიშოვით. — თქვა ანდრომ და შეუდგა გეგმის შედგენას იმის შესახებ, თუ როდის და როგორ „გამასპინძლებოდა“ შტაბში მოკალათებულ მტარვალებს.

* * *

ფაშისტების შტაბში, რომელიც სოფელში იყო დაბანაკებული, გაცხარებით ღებულობდნენ ზომებს პარტიზანად გასულ წითელარმიელების წინააღმდეგ. სოფელში სახრჩობელები ამართეს.

მუქარამ ვერ გასჭრა.

შტაბის უფროსს — მათრახბერგს კი განსაკუთრებით უნდოდა ანდროს ხელში ჩაგდება. როდესაც სრულწლოვან მამაკაცებს ვერაფერი დასტყუა მათრახბერგი ბავშვებს და ქალებს დაერია და უნდოდა მათი გამოტეხის საშუალებით მიეგნო პარტიზანთა საფარისათვის.

სხვათა შორის ფაშისტებმა შტაბში დაიბარეს 70 წლის მოხუცი ქალი კატერინა.

— გვიჩვენე სად არიან პარტიზანები და 20.000 მარკას მიიღებ. — უთხრა მას მათრახბერგმა.

— არ ვიცი. — იყო მტკიცე პასუხი.

— ახალ სახლს აგიშენებთ. სად არის მათი ბინა?

— არ ვიცი.

— ოქროებში ჩაგსვამთ.

— არ ვიცი.

— ასწავლეთ ჭკუა ამ დედაბერს, რომ ენა მოაბრუნოს! — ბრძანა მათრახბერგმა და კატერინას კეტები დაუშინეს გესტაპოელებმა.

— არც ახლა იცი? — შეეკითხა ცემის შეწყვეტის შემდეგ მათრახბერგი.

— არ ვიცი.

იმ ღამეს კატერინა წყლიან ორმოში ჩააყენეს. წყალი მუხლზევით წვდებოდა. მთელი ღამე არ სძინებია.

მეორე დღეს კვლავ მათრახბერგთან წარადგინეს.

— რას ილუპავ თავს. გვიჩვენე და მორჩა.

— მე ვერ გიჩვენებ, მაგრამ სამაგიეროდ ვიცი მოქალაქეები, რომლებიც მოვლენ და ჩემზე უკეთ გიჩვენებენ.

მათრახბერგს სახე გაუბრწყინდა.

— მაშ ჩქარა, მოიყვანე.

— თითონ მოვლენ და გიჩვენებენ.

— მართალს ამბობ? — როდის მიჩვენებენ?

— სამი დღეც არ დაგვიანდება.

— მაშ კარგი — განთავისუფლებ, მოველი სიტყვის ასრულებას.

— აგისრულდება — მტკიცედ წარმოსთქვა განთავისუფლებულმა კატერინამ, ნაცემ სახეზე გამხმარი სისხლი მოიწმინდა და შინისკენ გაეშურა.

* * *

მეორე დღეს სანამ ირაჟრაჟებდა ანდროს რაზმმა ფაშისტების შტაბს ალყა შემოარტყა. გაიმართა ბრძოლა, რომლის დროსაც შტაბის უფროსის—მათრახბერგის გარდა ყველა ფაშისტები ამოხოცეს. მათრახბერგი, რომელიც შიშით საწოლქვეშ შემძვრალიყო, გარეთ გამოათრიეს და ტყვეთ წაიყვანეს.

პარტიზანებთან ერთად მედიკამენტებით მოსულიყო მოხუცი კატერინაც.

— გტკივა სახსრები? — მზრუნველობით შეეკითხა ანდრო.

— არა უშავს. მორჩება.

ანდრო კატერინას შუბლზე ეამბორა. როდესაც გმირმა ქალს სახე მოაშორა, დაბნეული მათრახბერგის თვალებს კატერინას თვალთა ისრები ჩაესო.

მათრახბერგი სდუმდა.

— გითხარი გიჩვენებენ-მეთქი და ხომ გიჩვენეს წითელარმიელებმა. ასე იციან საბჭოთა მებრძოლებმა სიტყვის ასრულება.

მათრახბერგი ახლა უკვე მიხვდა კატერინას დაპირების ნამდვილ შინაარსს, მაგრამ სინანულის დრო აღარ იყო. ანდროს რაზმელებმა იგი შტაბის დოკუმენტებთან ერთად თავიანთ საფარისკენ გაუყენეს.

ს. ისარიძე

საბრძოლო შაირები

1. იქაც ჩნდება არმიელი,
სადაც მტერი არ მოელის

ჩასაფრებულს მტერს მიაგნებს,
შეიპყრობს და ხიშტზე აგებს.

2. ტყვე ფაშისტი გაინაბა,
ტანს ემოხა ქალის კაბა,

„ქალბატონო“, წამობრძანდი
ჩვენ მოგივლით, ნუ გაქვს დარდი.

3. მოსკოვიდან ფაშისტები
გარბოდენ ვით ტყეში მგლები,

ჩვენ საჩუქრად იმათ ჯარსა
ვაძლევთ მხოლოდ ფიჭვის ჯვარსა.

გველისგყაოსანი

მოსკოვის ოლქი ფაშისტებისაგან
გაწმენდილია. **გაზეთებიდან**

ნახეს უშნო მოყმე ვინმე ჯდა მოსკოვის განაპირსა,
კრემლში ველარ ესაუზმა, არ ულებდა დანა პირსა,
ტყავიც ალარ შერჩენოდა, ლაგამ აბჯარ უნაგირსა,
საცოდავად აკეკლებდა თვალებს მწარედ ანატირსა.

მას ტანსა კაბა ემოსა შხამიან გველის ტყავისა
გველის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა,
ეწადა ალარ შეეძლო მაღლა აწევა მკლავისა,
ნახეს და ნახვა შეზარდათ ურცხვისა სანახავისა.

სწუხდა, რომ მან თავი თვისი გაასაღა ვერსად ძვირად
ვერ მოედო ამ ქვეყანას ყველგან ცნობილ ყვითელ ჭირად
კისრის ტეხით უკან რბენა არ უჩანდა გასაკვირად,
ეუშინ ზეიმს მოელოდა — დღეს შეიქნა ანატირად.

ფანტასტიური გეგმები ვერ შესრულა მონამან
წამხდარ საქმეზე წამხდარმა, გაქცევა მოიგონა მან.
რა გაქცევა გადასწყვიტა ჰკრა მათრახი ჯაგლაგ ცხენსა,
ბოლმა ჰკლავს და ბრაზი ალრჩობს დამარცხებით განაწყენსა.

ნ. ოქროსაქედელი

ალეგორიული პროკლამაცია

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის ამბებით შეშფოთებულმა ჰიტლერმა გებელსი მოიწვია და ჰკითხა:

— აბა, რას მეტყვი სახუგეშოს?

— გამარჯვება! კიდევ გამარჯვება! მუდამ გამარჯვება! — შესძახა გებელსმა.

ფიურერმა ალმაცერად გადახედა:

— მეც მატყუებ, შე ღვთის გლახავ? ჩემთან ხომ შეიძლება სიმართლის თქმა! — შეუტია ჰიტლერმა.

— ოჰ! — ამოიხვნეშა გებელსმა: — რა დავფიცო და ძნელია ეგ ჩემთვის... არ მჩვევია და რა ვქნა ახლა?!

— კეთილი, — ჩაილაპარაკა ჰიტლერმა. — ჩემს გაჭირვებას ახლა შენისთანა ქოსა-ტყუილა თუ უშველის რამეს... როგორც იცი, საბჭოთა ფრონტებზე შეტრიალდა ჩვენი ბედი. ქვეყანამ გაიგო, რომ უკან ვიხევთ. მთელი მსოფლიოს გაზეთები სწერენ ჩვენს მარცხზე. უკვე ეჭვი ეპარებათ ჩვენს გამარჯვებაში არა თუ გარეთ, შინაც კი. გავალენ, როგორმე გაფანტო ეს აზრი და აღადგინო ჩვენი სამხედრო პრესტიჟი. ენა გრძელი გაქვს, ტყუილი და ჭორი შენი მოგონილია... ჰო-და, ახლა შენ იცი და შენმა უნარმა!

— ბატონი ბრძანდები! — ხალისით სთქვა გებელსმა: — აბა, მეტი რა ხელობა მაქვს, თუ ეგ ვერ შევძელი!

მეორე დღესვე გებელსმა დასტურისათვის წარუდგინა ფიურერს დავალებული ოფიციალური განცხადება.

— ამის შემდეგ, — აღფრთოვანებული იყო თითონ გებელსი: — ჩვენი პრესტიჟი აღდგენილი იქნება. გთხოვთ, მისმინოთ!

„გერმანიის მთავარსარდლობის განცხადება: ბოლო ხანებში სხვადასხვა სახელმწიფოს პრესაში ხშირად სწერენ, თითქოს აღმოსავლეთის ფრონტზე ჩვენ უკან ვიხევდეთ, თითქოს მთლად დაგვაცლევინეს მოსკოვის ოლქი, წაგვართვეს ქერჩი. დავტოვეთ როსტოვი, რომელიც კავკასიისა და ნავთის რაიონის გასაღებს წარმოადგენს და სხვა... ეს ხმები სრულიად არ შეეფერება სიმართლეს.

პირველი: ტყუილია, თითქოს მოსკოვის ოლქიდან წითელმა არმიამ ისე გამოგვაქცია, რომ იქ ერთი გერმანელიც არ დარჩა. განა ეს ითქმის იმ აღგილზე, სადაც ასი ათასობით გერმანელი დარჩა ისე, რომ თავის სამშობლოში აღარ აპირებს არასდროს დაბრუნებას?

მეორე: როსტოვში შესვლისას გენერალ კლაისტს ჯიბეში ედვა კავკასიის კარების გასაღები, მაგრამ შარვლის ჯიბე გახეული ჰქონოდა და გასაღები დაეკარგა. ამის გამო იძულებული გახდა უკან წამოსულიყო. ამ ცნობას შეგვიძლიან დავუმატოთ ისიც, რომ ფიურერმა ასეთი დაუდეგრობისათვის აუკრძალა გენერალ კლაისტს შარვლის ტარება და ახლა ის შარვალ-ჩახდილი ბრძანდება. გარდა ამისა, როგორც გვაცნობეს, ბაქოს ნავთს არ აპკურებენ სურნელოვან ზეთებს და რადგან მაზუთის სუნი საერთოდ აღიზიანებს ადამიანს — კავკასიის დაპყრობაზე ხელი ავიღეთ.

მესამე: რაც შეეხება ქერჩს, მართალია, ჩვენ ის დავტოვეთ, მაგრამ დავტოვეთ ჩვენის ნებით და იმ მიზეზით, რომ იქ ზღვა გაყინული იყო და სახელგანთქმული ქერჩის ტარანი ველარ დავიჭირეთ. სხვა მხრივ კი ის ქალაქი ჩვენთვის ინტერესს არ წარმოადგენდა“.

— ჰა? როგორ მოგწონთ? — იკითხა გებელსმა, როცა წაკითხვა დაამთავრა.

— რა გოგრა გაქვს, რა გოგრა! — თავში უტყაპუნებდა აღტაცებაში მოსული ფიურერი, — ჩინებულია! ამიერიდან ჩვენი პრესტიჟი აღდგენილია!

სერგო კლდიაშვილი

აღმოჩენილი დამნაშავე

როცა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტიდან საბრძოლო მოქმედების ახლად მიღებული ცნობები გადაათვალიერა (რომლისთვისაც ჯერ გებელსს რედაქცია არ ჰქონდა გაკეთებული), მიტლერი გაცოფდა:

— განადგურებულია კიდევ რამოდენიმე ჩვენი დივიზია, ჩვენი ჯარი უკან იხევს! — შეჰყვირა მან ისტერიულად. — გიბრძანებ დაუყოვნებლივ აღმოაჩინოთ დამნაშავე უკანდახევის საქმეში და დახვრიტოთ ის.

— ერთი საათის შემდეგ ადიუტანტი მოკრძალებით შევიდა „ფიურერის“ კაბინეტში.

— თქვენი ბრძანების მხოლოდ პირველი ნახევარი შევასრულეთ, ბატონო ფიურერო!

— როგორ თუ მხოლოდ პირველი ნახევარი, რატომ მხოლოდ პირველი ნახევარი, — დორბლმორევით შეუყვირა ჰიტლერმა. შეშინებული ადიუტანტი უფრო გაიჭიმა.

— ჩვენი უკანდახევის საქმეში დამნაშავე აღმოჩენილია, — ეს გახლდათ წითელი არმია; მაგრამ მისი დახვრეტა, ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო ჩვენს ძალღონეს აღემატება.

„ფიურერმა“ ხიბრაზისგან გაბერილი საფეთქლები მაგრა მოიხრიხა და მრისხანე დუმილის შემდეგ გაუწოდა ადიუტანტს ფრონტიდან მიღებული ცნობები.

— გადაეცი გებელსს, გაუკეთოს რედაქცია ჩვენი ჯარის წინსვლის შესახებ.

დ ე ვ ი

გმირული ეპიზოდები წითელი არმიის წარსულიდან

ტექსტი — მედუზასი

ნახ. ე. მაყაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1.

„ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა
და ან ცაზე ვარსკვლავები?“
ვინ შეუმკოს ღირსეულად
ჩვენს არმიას მხარ-მკლავები?
როგორც ახლა, ლენინგრადის
მიდამოსთან იყო მტერი,
იუდენიჩის შავი ხროვა
მან გაჰფანტა, როგორც მტვერი.

2.

კოლჩაკი და ხუნხუზები
შეესიენ ჩვენსა მხარეს,
დაიკავეს თუმც ციმბირი
მაგრამ ველარ გაიხარეს.
წითელ ლაშქრის ბანაკიდან
როგორც გაჩნდა ცეცხლის ალი,
სამუდამოდ დაიკარგა
ბნელ წარსულში მტრების კვალი.

3.

უკრაინა, როგორც ახლა,
ხელში ჰქონდათ „არიელებს“,
მაგრამ „მაშინ“ ბარონებმა
ძლივს გაქცევით, თავს უშველეს.
დენიკინის შავი დროშა
ორიოლთან ქანაობდა,
მაგრამ ერთი დარტყმის შემდეგ
უკვე ზღვაში ბანაობდა.

4:

როს ჩვენი ქვეყნის საზღვრებთან
მტერი გამოჩნდა მსუნაგი,
მუსრი გაავლო მომხდურებს
მოაძებნინა ბუნაგი.
ჩვენში შემოჭრილ მტრის რაზმი
გაკაფა, როგორც ტყეები,
და გაახსენა „ქველ“ სტუმრებს
ვოლოჩაევის დღეები.

5.

რუტ-ტანერ-მანერჰაიმი
ჩვენს მტრებს უწვდიდენ ხელებსა
დაუფლებოდენ უნდოდათ
მათ ლენინგრადის ველებსა.
სულ ნაცარტუტად აქცია
მათი სიმაგრე ქებული,
და მათთვის „ძკუის წამალი“
დღესაც გვაქვს გამზადებული.

6.

ვით შევარდენმა, სამხრეთში
კამარა შეჰკრა ამ გმირმა,
როსტოვში, ქერჩში ფაშისტთა
ურდოებს მტვერი ადინა.
უნდა გენახათ კლაისტი! —
თავზე რომ „სეტყვამ“ დათოვა,
ისე მოკურცხლა, რომ ქუდი
თურმე როსტოვში დატოვა.

7.

რომ შერცხვენილად გაქცეულ
კლაისტს არ ეგრძნო ობლობა,
მას მიაყოლა შტრაუსიც,
ეს — მემამულე ობობა.
სპა ამოწყვეტილ გენერალს
ოფლი დიოდა კბილიდან
წითელ ლაშქრისგან ნაგვემი
როცა გარბოდა კლინიდან.

8.

კავშირთან სამტროდ მოსულ ჯარს
დააკრეფინა ხელები,
ისე ზედიზედ კაფავდა,
ვით ყანებს ბასრი ცელები.
სატანკო დივიზიები
ნაფოტებივით დაფლითა,
გუდერიანი ტულიდან
გაფრინდა სველი საცვლითა.

9.

შტრაუსის ლაშქარს ტიხვინთან
დღე დააყენა შავია,
ვერაგ მტრის სისხლის ღვარებში
გაცურდებოდა ნავია.
გმირი წითელი არმია
იცავს სამშობლოს ტყე-ყანას
და მისგან, როგორც ყოველთვის —
ხსნას ელის მთელი ქვეყანა.

ო ი ნ ი

ჰამბურგელი ჯუჯა ფრიცი
და ვალტერი ბერლინელი,
მეგობრობდნენ ურთიერთს რადგან
მათ უყვარდათ საქმე ბნელი.
ცნება სინდის-ნამუსისა,
მათ მიაჩნდათ სასაცილოთ,
ქურდობას და ხულიგნობას
არა სთვლიდნენ სათაკილოდ.
და როდესაც ჩვენს ქვეყანას
თავს დაესხა ბილწი მტერი,
ჰიტლერელებს თან მოსდევდათ
ჯუჯა ფრიცი და ვალტერი.
რომ დაპყრობილ ადგილებში
დაძვრებოდნენ გარეწრები,
არ დატოვეს არც ხორაგი,
ტუფლი, კაბა და ზეწრები.
ეს ამბავი შეუმჩნევლად
აღარ დარჩათ პარტიზანებს,
პარტიზანთა წესი არის
ასწორებენ ამისთანებს.
ერთმა ბიჭმა პარტიზანმა
ეს ოინი მოიგონა:
მოირთო და მოიკაზმა,
კოხტა კაბით ვით გოგონა.
ხელში ბატი დაიჭირა
ფრთა ფართხატი როგორც აფრა,
თვით გორაკზე ავიდა და
ირგვლივ რაზმი ჩაასაფრა.
ფრიც და ვალტერ ამ დროს სწორედ
მიდიოდნენ საქურდალოდ,
ბატს და გოგოს რომ შეხედეს
სალერღელი აეშალათ.
სულ სირბილით გაეშურენ
არ დაზოგეს ღონე, ძალი...
— „წუპაკებო, რომელს ირჩევთ?
ბატი გინდათ, თქვენ თუ ქალი?..."

და ბანდიტებს რაზმელებმა
დაუბნელეს იქვე თვალი.

ყირიმელი

ახალი — გეოგრაფიაში

ნახ. ი. გაბაშვილისა

— ის რა ბორცვია, ამ რუკაზე სრულე ბით რომ არაა აღნიშნული?
— ის ბორცვი კი არა, ის „სს"-ს დივი ზიის ახალი საფლავია.

ა მ ა ო ც დ ა

„ეხლა ჰიტლერის ბანდა ოცნებობს იმაზე, რომ საბჭოთა ხალხმა ზავი დასდოს მათთან, ბანდიტებთან".

დ. ზასლავსკის წერილიდან

ნახ. ი. კროტკოვისა

ჰიტლერი და მისი დამქაშები: გასუქებაზე აღარ ვფიქრობთ, ოღონდ ცოცხლები დავრჩეთ.
მშვიდობიანობის ანგელოზი: ამაო თხოვნაა, ეს ჩემგან აღარ არის დამოკიდებული.

უკანასკნელი იმედი

ნახ. ი. გაბაშვილისა

ფრანცი — მე დიდ იმედებს ვამყარებ წითელი არმიის დღეზე.
ფრიცი — როგორ?
ფრანცი — იქნებ თავის დღესასწაულის დროს მაინც მოგვასვენოს დარტყმებისაგან.
ფრიცი — ეხ, ეგ შენი სულელური გულუბრყვილობაა ჩემო კარგო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაპოვნი ლუკმა

— გერმანიის ჯარებს დავალებული აქვთ იკვებონ ოკუპირებულ ადგილებში ნაძარცვი პროდუქტებით...“
— ხაბერძნეთში შიმშილით იხოცება ხალხი, რადგან გერმანელები მოსახლეობას ართმევენ უკანასკნელ ლუკმას.

გაზეთებიდან

ბათენდა. ზღვის მსუბუქი ნიავი ერუანტელივით უვლის ათინის ქუჩებს.

ბელეტაჟიანი კოხტა ვილლის ფართო აივანზე მთქნარებით გამოვიდა ახმახი ოფიცერი დაუსტვინბერგი და რიკულებს გადაეყუდა.

დგას ახმახი გარინდებული და ფიქრობს.

— დილა მშვიდობისა ფონ-დაუსტვინბერგ, — სხაპასხუპით ესვრის მას მეორე ახმახი, რომელიც აჩქარებული ნაბიჯით ჩაუვლის აივანს და შუკაში შეუხვევს.

დაუსტვინბერგი პასუხს არ აძლევს. დგას და ფიქრობს.

რას ფიქრობს?

გოტლიფ ფონ-დაუსტვინბერგი ფაშისტური არმიის ოფიცერია. გარეგნობით, იგი წმინდა არიელის შთაბეჭდილებას სტოვებს, რადგან მისი სახის მრავალი ნიშანდობლივი თვისება ამ მხრივ ყველასთვის უდავოა.

ჰოდა, აი, ასეთმა სრულფასოვანმა არიელმა ერთ მშვენიერ დღეს საბერძნეთში დაბანაკებულ ფაშისტურ ჯარში ამოჰყო თავი. ეს მოხდა მარტივი ანგარიშის საფუძველზე, წარჩინებული ნაცნობების გაძრომ-გამოძრომის შედეგად.

საერთოდ მადლობა ღმერთს, რომ ასე მოეწყოო,—ამბობს თავისთვის დაუსტვინბერგი, რადგან ხომ შესაძლო იყო, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გაეგზავნათ იგი?

ო, ამაზე ფიქრიც კი ახლა ბევრ არიელ ოფიცერს ერთობ მეავე გუნებაზე აყენებს.

— წითელ არმიასთან შეხვედრა—ეს „გირვანქა ქიშმიშს“ როდი ნიშნავს — ფიქრობს ახლაც დაუსტვინბერგი, — ნაღდი სიკვდილის რისკია: დღეს თუ არა, ხვალ, ხვალ თუ არა—ზეგ ტყვიას მოგაბეჭებენ ისინი, — მერე წადი და ირიკავე ფონ-დაუსტვინბერგ, რაღას უპირებ ოხრად დარჩენილ რკინის ჯვარსა და ცოლშვილს?

— ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ მაინც რით შეიძლება შიმშილის ჭია მოიკლას კაცმა ამ დილით? — განაგრძობს ფიქრს დაუსტვინბერგი.

მაგრამ მოულოდნელმა სკენამ დაარღვია დაუსტვინბერგის ფიქრი: ეზოს მეორე კიდეში, დაბალი შენობიდან აჩქარებით გამოვიდა ფარგასავით გამხმარი ქერა ჯარისკაცი. მას ხელში ხორცის ნაჭერი ეჭირა. ეტყობოდა ახლად აღებული იყო, რადგან ჯარისკაცი ხშირად ინაცვლებდა მას ერთი ხელიდან მეორეში, მას უკან თავზარდაცემული ქალი მოსდევდა და ემუდარებოდა:

— ბატონო ჯარისკაცო, გთხოვთ, იგ ნაჭერი მაინც დამიბრუნოთ მძიმე ავადმყოფისათვის დიდის გაჭირვებით ვიშოვე, ოქროს საყურეები მოვიხსენი და ის მივეცი მაგ პატარა ნაჭერში.

ფარგასავით გამხმარი ჯარისკაცი კი ერთობ მხიარულ კილოზე არწმუნებდა, რომ „ბერძენი ფრაუ“ სულელი ყოფილა, რადგან არ სცოდნია, რომ ბერძენ ავადმყოფებს ხორცი ავნებს, კუჭს აუშლის, სიცხეს მოუმატებს.

— ხი-ხი-ხი — ხითხითებდა იგი, — აკი ვამბობ, რომ თქვენ უკულტურობები ხართ, ჩამორჩენილები. რათ უნდა ავადმყოფს ხორცი, როგორ მოინელებს?

— თქვენ სიმართლეს არ ამბობთ ბატონო ჯარისკაცო, ბავშვი დასუსტებულია, ექიმმა გამოუწერა, გთხოვთ.

ჯარისკაცმა კიდევ უფრო მადიანად ჩაიხითხითა:

— ექიმმა? — ექიმს შეშლია ფრაუ, მას ჩემთვის უნდა გამოეწერა, ამიტომ მე თვითონ ვასწორებ მის შეცდომას.

და როცა ჯარისკაცმა ხორცის ნაჭერი მარცხენა ხელში გადაინაცვლა, მარჯვენით რევოლვერი ამოიღო, ქალს მიუმიზნა და ხითხითითვე შეეკითხა:

— აი, ამ პატარა ეშმაკს ხომ ხედავ? ის ახლავე სახეში შემოგაფურთხებს, თუ სახლში არ შეხვალ.

შეშინებული ქალი მართლაც შევარდა სახლში. გამარჯვებულ რაინდს კი, ის იყო, უნდა ჩაელუკმა მოტაცებული ხორცი, რომ ფონ-ბოლლოწ-უსტვინბერგმა, რომელმაც საჩქაროდ ჩაირბინა დაბალი კიბე, შეუყვირა მას:

— სმენა!

ქერა ჯარისკაცი სარჩაულაპულივით გაშეშდა.

— შენ რა მოსტაცე იმ დედაკაცს, რას სჭამდი?

— არაფერს ჰერ ლეიტენანტ!

— მაჩვენე მარჯვენა ხელი, — შეულრიალა ბოლლოწმ. ჯარისკაცმა მარჯვენა ხელიდან უცბად მარცხენაში გადაიტანა ხორცის ნაჭერი და მარჯვენა ხელი აიშვირა.

— მაჩვენე მარცხენა, — კვლავ შეუყვირა ბოლლოწმ.

ჯარისკაცმა იგივე ოპერაცია გაიმეორა: ახლა მარცხენა ხელი გაინთავისუფლა და ის ასწია.

— ორივე ხელი ერთად აიშვირე!

მაშინ ჯარისკაცმა ხორცის ნაჭერი ლაჯებში ამოიდო და ორივე ხელი ასწია. ეს ოინი გაუგო ბოლლოწმ.

— ნაბიჯით იარ!

წახდა ქერათმიანი არიელის საქმე. ცხვირლურჯა არიელმა ამკარად დაინახა, რომ როცა მან ნაბიჯი გადადგა, ხორცის ნაჭერი ძირს დაეცა.

— სირბილით, ყაზარმამდე იარო! — უბრძანა მას ბოლლოს და როდესაც ფარგასავით გამხმარი ჯარისკაცი გაშორდა, გოტლიბ-ფონ დაუსტვინბერგი დასწვდა გადაგდებულ ხორცის ნაჭერს, ხელით მტვერი გადააჯალა და პირში იკრა.

მგელივით გამალებით სთქვლეფდა, რადგან მან თვალი მოჰკრა ეზოში შემომავალ პოლკოვნიკს — ჩინით უფროს არიელ მხედარს, რომელსაც შესაძლებელი იყო, წაესწრო მისთვის და იგივე ოპერაცია გაეიმეორებინა „ნაპოვნი ლუკმის“ დასასაკუთრებლად.

ფარსადანი

შეეხარბა

ნახ. ე. მაყაშვილისა

— მშობლები მწერენ: ბერლინში ეკრანზე გვიჩვენეს თბილი ტანსაცმელი, რომელსაც თქვენ გიგზავნიდნენო.

— ნეტავი მათ. ჩვენ თბილი ტანსაცმელი კინოშიც არ გვინახავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაშისტ უნტერ-ოფიცრის ქვრივი, რომელმაც თავისი თავი გაიმათრახა.

ფაშისტური განცხადებები

(შეკრებილი ლ. ლაგინის მიერ)

—:—

ქალის ხორცის საუკეთესო ძეხვები!
კატის ხორცის კატლეტები!
ყვავის შაშხი
და სხვა მრავალი გემრიელი და ნოყიერი სანოვაგე,
იყიდება მხოლოდ ჩვენს მაღაზიაში: ჰიტლერშტრასე,
გესტაპოს პირდაპირ.

დაკარგულია, სადღაც მოსკოვის მისასვლელებთან, გამარჯვების იმედი.
ვინც იპოვის ჯილდოს მიიღებს.
გენერალი ძუკენ-წუნკენსონ

ჩოცა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მიდიხარ, **არ დაგავიწყდეს** ლამაზი, მსუბუქი და იაფი **კუბოს შეძენა.**
ბატონ „სს“-ის ოფიცრებს კუბოებს მივაწვდით ბინაზე.
პატივისცემით დამკრძალავი ბიურო
„კუბო მუსიკით“

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: ეორესის ქ. № 5.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1942 წ. 4/III. ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, გამომც. № 10. შეკვეთა № 832. УО 1310. ტირაჟი 15.000.

42-27

ერთი ბუდის არწივები

„საარტილერიო ქვედანაყოფის მეთაურმა ალექსანდრე ვასილის-ძე ჩაპაევმა, ცნობილი სარდლის შვილმა, [illegible] საარტილერიო ცეცხლი დაუშინა მტერს. მოწინააღმდეგემ 100-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა და უკუიქცა".

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებიდან.

ნახ. ს. ნადარეიშვილისა

ვასილ ჩაპაევი:

მამაცობით აშკარად გცნობთ,
ჩემი ბუდის არწივებსა, —
ვაშა მაგ თქვენს ვაჟკაცობას, —
ახე დაჰკათ ვერაგ მტრებსა,

სულის მოთქმა არ აცალოთ,
მათ სიცოცხლე მტვრად უქციეთ, —
ჩვენს მიწაზე ფეხის დადგმა —
სინანულად გადუქციეთ.